ხელშეკრულება #გ.შ.15.08.16

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ.თბილისი, 15.08.2016 წელი

ჩვენ, ერთის მხრივ სს აი თი დი სი (შემდგომში "ITDC"), წარმოდგენილი მისი დირექტორის მამუკა მონავარდისაშვილის მიერ და მეორეს მხრივ შპს ,,სახელმწიფო სამშენებლო კომპანია" (შემდგომში „დამკვეთი"), წარმოდგენილი მისი დირექტორის იოსებ ოზაშვილის სახით, ვხელმძღვანელობთ რა, ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის ,,ს[1]" ქვეპუნქტითა და ,,გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვების ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის #13 ბრძანების მე-2 მუხლის ,,ა" პუნქტით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. **მუხლი: ხელშეკრულების საგანი**
   1.1. წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე და ამავე ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში "ITDC" უზრუნველყოფს „დამკვეთისათვის" ტექნიკური მხარდაჭერის მომსახურების (შემდგომში „მომსახურება") (CPV 72261000) გაწევას, რომლის პირობები მოცემულია ამ ხელშეკრულების 2.1. პუნქტში.
   1.2. ამ ხელშეკრულებით გაწეული „მომსახურების" სანაცვლოდ დამკვეთი ვალდებულია გადაუხადოს "ITDC" საზღაური ამავე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადაში და ოდენობით.

2. **მუხლი: მხარდაჭერის მომსახურების პირობები**
   2.1. წინამდებარე ხელშეკრულებით დამკვეთისათვის გასაწევ „მომსახურებასა" და მის პირობებში მხარეები გულისხმობენ:
      2.1.1. კონსულტაციას ვებ-გვერდის (www.scc.ge) (შემდგომში „ვებ-გვერდი") ტექნიკურ მხარდააჭერასთან დაკავშირებით.
      2.1.2. ვებ-გვერდის (www.scc.ge) ტექნიკური მხარდაჭერა, კერძოდ შესწორების შეტანა;
   2.2. მომსახურების გაწევა წარმოებს ამ ხელშეკრულებაში მითითებულ სატელეფონო, ელექტრონული საშუალებებითა და პირდაპირი თუ დისტანციური თანამშრომლობის ფორმატში. ამ მხრივ მხარეები წინასწარ ცვლიან ერთმანეთში ინფორმაციას კომუნიკაციის საშუალებებისა და საკონტაქტო პირების შესახებ, რომლის გარეშე არ იწარმოებს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევა. ამ მუხლით გათვალიწინებულ საკონტაქტო პირებს „დამკვეთის„ მხრიდან წარმოადგენს მაკა ჯაიანი და ბესიკ ჯმუხაძე, ხოლო „ITDC"- მხრიდან სერგო კარაკოზოვი,
   2.3. ამ მუხლით გათვალისწინებულ კომუნიკაციის საშუალებას „დამკვეთის" მხრიდან წარმოდგენს ელ ფოსტა mjaiani@gmail.com, ხოლო შემრულებლის მხრიდან sergo@itdc.ge.
   2.4. მხარეები იღებენ ვალდებულებას მომსახურების დასრულებისას გაწეულ მომსახურებაზე შეადგინონ მიღება-ჩაბარების აქტი, შესაბამისი ღირებულების მითითებითა და საამისოდ უფლებამოსილი პირების ხელმოწერით. აღნიშნული აქტი მიიჩნვა მომსახურების მიღება-ჩაბარებად.
   2.5. ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევა შეიძლება იწარმოოს დღე-ღამის ნებისმიერ მონაკვეთში, ამავე ხელშეკრულებით გათვალისწინებული დამატებითი პირობების გათვალისწინებით.
   2.6. დამკვეთი ვალდებულია მაქსიმალურად ხელი შეუწყოს „ITDC"-ის ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების განხორციელებაში, რისთვისაც ის ვალდებულია მიაწოდოს ამ

უკანასკნელს ყველა საჭირო ინფორმაცია, შეასრულოს შესაბამისი მოთხოვნები, უზრუნველყოს ვებ-გვერდზე წვდომა (ხელმისაწვდომობა) და კომუნიკაციაში კვალიფიციური კადრით თანამშრომლობა.

3. **მუხლი: მომსახურების საზღაური და ანგარიშსწორების პიროებები**

3.1. ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების საფასური (საზღაური) შეადგენს 350 (სამასორმოცდაათი) ლარს დღგ-ს ჩათვლით. საიდანაც 50 ლარი დღგ-ს ჩათვლით წარმოადგენს ხელშეკრულების 2.1.1. პუნქტით გათვალისწინებული მომსახურების ღირებულებას, ხოლო 300 ლარი დღგ-ს ჩათვლით - 2.1.2. პუნქტით გათვალისწინებული მომსახურების რირებულებას.

3.2. ,,დამკვეთმა" 3.1-ე პუნქტში მითითებული საფასურის გადახდა სრულად უნდა აანაზღაუროს 2.4. პუნქტით გათვალისწინებული მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 კალენდარული დღის განმავლობაში.

3.3. მხარეთა შორის ანგარიშსწორება წარმოებს უნაღდო ფორმით, კერძოდ "ITDC"-ის შემდეგ საბანკო ანგარიშზე თანხის ჩარიცხვით: ა/ა ა/ა GE19TB7483936080100001

4. **მუხლი: დასკვნითი დებულებები**

4.1. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევის ვადაა მხარეთა მიერ ხელშეკრულების ხელმოწერიდან 02 (ორი) სამუშაო დღე.

4.2. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2016 წლის 30 სექტემბრის ჩათვლით.

4.3. ამ ხელშეკრულების მიზნებისათვის ხელშეკრულების შესრულების ადგილს წარმოადგენს ქ.თბილისი.

4.4. წინამდებარე ხელშეკრულების რომელიმე დებულების ბათილობა არ იწვევს ხელშეკრულების სხვა დებულებების ანულირებას.

4.5. წინამდებარე ხელშეკრულების მიმართ მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობა, რომლის მიხედვით კვალიფიცირებისას გამორიცხული უნდა იქნეს ამ ხელშეკრულების მიმართ უცხო ქვეყნის სამართლის გამოყენება.

ინფორმაცია მხარეთა შესახებ

„ITDC“	„დამკვეთი“
სს „აი თი დი სი“	შპს ,,სახელმწიფო სამშენებლო კომპანია“
საიდენტიფიკაციო კოდი: 404399664	საიდენტიფიკაციო კოდი: 205140257
მისამართი, თბილისი, რუსთაველის #14	მისამართი: თბილისი, ოთარ ჩხეიძის 10
მამუკა მონაგარდისაშვილი გენერალური დირექტორი	იოსებ ოზაშვილი დირექტორი